



სტრასბურგი/პარიზი/სპლიტი, 19 ივნისი 2013
DGII/EDU/HE (2013) 15 Rev 01
ED-2012/UNESCO
ორიგინალი: ინგლისურ ენაზე

ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობის/აღიარების კონვენციის კომიტეტი

განმარტებითი მემორანდული კონვენციის დამატებითი
ტექსტისთვის “რეკომენდაცია უცხოური კვალიფიკაციების
აღიარებისას კვალიფიკაციების ჩარჩოს გამოყენებასთან
დაკავშირებით”

ევროსაბჭოს II გენერალური დირექტორატი (დემოკრატიული მონაწილეობისა და მოქალაქეობის დირექტორატი - საგანმანათლებლო პოლიტიკა და უფლებების განყოფილება) და იუნესკოს მასწავლებელთა განვითარებისა და უმაღლესი განათლების განყოფილება

გავრცელება: ლისაბონის აღიარების კონვენციის(LRC) კომიტეტი

განმარტებითი მემორანდუმი თანამიმდევრულად მისდევს ლისაბონის აღიარების კონვენციის დამატებით ტექსტს

პრეამბულა

პრეამბულა დაფუძნებულია ევროსაბჭოსა და იუნესკოს მიერ შემუშავებულ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების არსებულ სამართლებრივ ჩარჩოს. ის ამ რეკომენდაციას მოიაზრებს ევროსაბჭოსა და იუნესკოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების კონვენციისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კონტექსტში და მიუთითებს იმ ძირითად განვითარებაზე, რომელიც მოითხოვს უცხოური კვალიფიკაციის აღიარებისას კვალიფიკაციების ჩარჩოების გამოყენების ერთიან გაგებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვა მხარეებს ან ერთეულებს, რომლებმაც შეიმუშავეს კვალიფიკაციის ჩარჩოები, კერძოდ, კი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცეში და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF LLL)¹ ფარგლებში და ასევე კვალიფიკაციების ჩარჩოებს, რომლებიც შემუშავდა ან ახლა იქმნება ლისაბონის აღიარების კონვენციის მონაწილე იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრები.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცესთან მიმართებაში დამატებითი ტექსტი მიგვითითებს ბოლონის პროცესის მინისტრიალის კომუნიკებს. მათ შორის:

ბერლინის კომუნიკე 2003

“წევრ ქვეყნებს მოუწოდებენ თავიანთი უმაღლესი განათლების სისტემებისათვის შეიმუშაონ იოლად შესადარებელი და თავსებადი კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც მიზნად დაისახავს აღწეროს კვალიფიკაციები სამუშაოს მოცულობის, დონის, სწავლის შედეგების, კომპეტენციების და პროფილის საშუალებით. ისინი, ასევე შეიმუშავენ კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის.”

ბერგენის კომუნიკე 2005

“ჩვენ ვიღებთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს, რომელიც მოიცავს სამ საფეხურს (ნაციონალურ კონტექსტში შეიძლება მოიცავდეს შუალედურ კვალიფიკაციებსაც), თითოეული საფეხურის ზოგად აღმწერს, რომელიც სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს ეყრდნობა, და პირველი და მეორე საფეხურებისათვის განსაზღვრულ კრედიტებს. ვიღებთ ვალდებულებას, 2010 წლისათვის შევიმუშაოთ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან თავსებადი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოები”.

ლონდონის კომუნიკე 2007

“2.7 კვალიფიკაციების ჩარჩოები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში შესადარობისა და გამჭვირვალობის მისაღწევად. ჩარჩო ხელს უწყობს სტუდენტების გადაადგილებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. იგი ეხმარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სწავლის შედეგებსა და კრედიტებზე დაფუძნებული მოდულების და სასწავლო პროგრამების შემუშავებაში; აუმჯობესებს კვალიფიკაციისა და წინმსწრები განათლების ყველა ფორმის აღიარებას”.

ლუვენის კომუნიკე 2009

“12. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავება არის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ჩვენი მიზანია 2012 წლამდე შევიმუშაოთ ეროვნული ჩარჩოები და განვახორციელოთ თვითსერტიფიცირება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მიმართებაში. ეს მოითხოვს უწყვეტ კოორდინირებას, როგორც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის დონეზე

¹ Recommendation of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on the establishment of the European Qualifications Framework for Lifelong learning, 2008/C111/01

ასევე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციები ჩარჩოსთანაც. ეროვნულ კონტექსტში პირველის საფეხურის ფარგლებში არსებული შუალედური კვალიფიკაციაში იძლევა გახდეს უმაღლეს განათლებაში დამკვეთის გაარდის საფუძველი”.

ბუქარესტის კომუნიკე 2012

“ჩვენ მივესალმებით პროგრესს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავებასთან დაკავშირებით. ისინი აუმჯობესებენ გამჭვირვალობასა და საშუალებას აძლევენ უმაღლესი განათლების სისტემას იყოს უფრო ღია და მოქნილი. ვაღიარებთ, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოს გამოყენების სრული სარგებლის რეალიზება პრაქტიკაში უფრო რთულია ვიდრე ჩარჩოს შემუშავება. კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავება უნდა გაგრძელდეს, რათა ის გახდეს სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლის ყოველდღიური რეალობა. ამავდროულად, ზოგიერთი ქვეყანა დგას უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მიმართებაში 2012 წლის ბოლომდე ეროვნული ჩარჩოს თვითსერტიფიცირების დასრულების გამოწვევების წინაშე.”

“ჩვენი კვალიფიკაციების ჩარჩოების დონეების ერთიანი გაგება არსებითია, როგორც აკადემიური ასევე პროფესიული მიზნებით აღიარებისათვის. სკოლის დამამთავრებელი კვალიფიკაცია, რომელიც უმაღლესი განათლებაში დამკვეთის უფლებას იძლევა უნდა განვიხილოთ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეზე, ან ექვივალენტურ დონეზე იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან დაკავშირებულები ამ საერთო ჩარჩოთი და სადაც ის ჩართულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში. ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ განვახორციელოთ პირველი, მეორე და მესამე საფეხურის კვალიფიკაციების რეფერენსირებას მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6, მე-7 და მე-8 დონეებთან ან იმ ქვეყნის ჩარჩოების ექვივალენტურ დონეებთან, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან.”

“ჩვენ ვაპირებთ, რომ მოვხსნათ ყველა ძირითადი დაბრკოლება, რომელიც აფერხებს ეფექტურ და სათანადო აღიარებას და მზად ვართ ერთად ვიმუშაოთ შესადარებელი აკადემიური ხარისხების ავტომატური აღიარებისათვის, ბოლონის ჩარჩოს ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, რაც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის გრძელვადიანი მიზანია. აქედან გამომდინარე ლისაბონის აღიარების კონვენციის მესრულების მიზნით ვალდებულებას ვიღებთ გადავხედოთ ეროვნულ კანონმდებლობას. მივესალმებით აღიარების ევროპულ სივრცის სახემდგვანლოს და რეკომენდაციას ვუწევთ მის გამოყენებას, როგორც უცხო ქვეყნის კვალიფიკაციების აღიარების გზამკვლევისა და წარმატებული პრაქტიკის რეზიუმეს.”

(წყარო: www.ehea.info)

გამჭვირვალობის მსგავსი ინსტრუმენტები შემუშავდა იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრები, მაგრამ არიან კონვენციის მხარეები. მათ შორისაა,

ახალი ზელანდია:

“ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების ჩარჩო შემუშავდა საგანმანათლებლო მიღწევების აღიარებისა და ახალი ზელანდიის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ წინსვლაში მათი წვლილის ოპტიმიზაციისათვის. კერძოდ, ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების ჩარჩო:

- გადმოსცემს იმ უნარებს, ცოდნასა და ატრიბუტებს, რომელსაც უმაღლესდამთავრებული იძენს კვალიფიკაციის დასრულების შემდეგობით;
- უზრუნველყოფს და ხელს უწყობს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო გზების შექმნას;
- მოითხოვს ინტეგრირებული და თანამიმდევრული კვალიფიკაციების განვითარებას;
- ამაღლებს ახალი ზელანდიის კვალიფიკაციების ნდობასა და საერთაშორისო შესადარებას;
- ხელს უწყობს მათის ხალხის გაძლიერებას მათი ხელშეწყობის მეშვეობით;

• არის მასზე გაწეული დანახარჯის შესაბამისი, მდგრადი და ძლიერი”.
(წყარო: www.nzqa.govt.nz)

ავსტრალია:

“ავსტრალიის კვალიფიკაციების ჩარჩო (AQF) არის ავსტრალიის განათლებისა და ტრენინგის სისტემის ეროვნული პოლიტიკა რეგულირებადი კვალიფიკაციებისათვის. ის აერთიანებს განათლებისა და ტრენინგების სისტემის ყველა სექტორის კვალიფიკაციებს ერთიან, დეტალურ, ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში.

ავსტრალიის კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციების აკრედიტაცია, კვალიფიკაციების გაცემის უფლებისათვის ორგანიზაციების ავტორიზაცია და კვალიფიკაციებისა და მისი გამცემი ორგანიზაციების მიმდინარე ხარისხის უზრუნველყოფა სამართლებრივად რეგულირდება ავსტრალიის იურისდიქციის ფარგლებში.

ავსტრალიის კვალიფიკაციების ჩარჩოს კვალიფიკაციებისა და ავტორიზებული ორგანიზაციების ვერიფიკაცია ხორციელდება ავსტრალიის კვალიფიკაციების ჩარჩოს რეესტრის მეშვეობით”
(Source: www.aqf.edu.au)

კანადა:

კვალიფიკაციების ჩარჩო არის ინსტრუმენტი რომელიც

- კონკრეტულ საგანმანათლებლო სისტემაში თითოეული კვალიფიკაციისათვის აღწერს მის ძირთად მიზანსა და მასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო მოლოდინებს და ასევე ურთიერთობას სხვადასხვა კვალიფიკაციებს შორის;
- უზრუნველყოფს საგანმანათლებლო გამოცდილების უწყვეტობას, რომლის დროსაც ახალი კვალიფიკაციები შეიძლება განთავსდეს შესაბამის საგანმანათლებლო სისტემაში;
- უზრუნველყოფს კონტექსტს კრედიტების ტრანსფერისა და კვალიფიკაციების აღიარებისათვის, რაც ხელს უწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას;
- ეხმარება კვალიფიკაციის მფლობელს თავისი კვალიფიკაცია შეადაროს სხვა საგანმანათლებლო სისტემის კვალიფიკაციებს, როგორც სხვაგან სწავლის გაგრძელებისათვის ასევე სხვა იურისდიქციიდან პროგრამის ექსპორტში.

(წყარო: www.cicic.ca)

გლობალურ დონეზე კვალიფიკაციების ჩარჩოების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ევროპის ტრენინგის ფონდის ვებგვერდზე (www.etf.europa.eu).

კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავება აძლიერებს სწავლის შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო დისკურსსა და კვალიფიკაციების სისტემებში. სწავლის შედეგების პრინციპი იძლევა საფუძველს, რომელსაც ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩო და აღიარების პრაქტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავების დონე და განხორციელება მნიშვნელოვნად მერყეობს ევროპაში. 2012 წლის იანვრისათვის 21 ქვეყანამ დააფიქსირა, რომ ისინი იყვნენ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მომზადებისა და თვსერტიფიცირების ფინალურ საფეხურზე, 16 ქვეყანა იყო პროცესის შუაში და 5 ქვეყანას ახალი დაწყებული ქონდა ეს პროცესი.

წინამდებარე რეკომენდაციები უნდა ჩითვალოს პირველ ნაბიჯად კვალიფიკაციების ჩარჩოების აღიარების პრაქტიკაში გამოყენებისათვის. აღიარების უფლებამოსილ ორგანოებსა და ენიკის ქსელს ეძლევათ რეკომენდაცია განავითარონ კვალიფიკაციების ჩარჩოების შემდგომი გამოყენება აღიარების პროცესისათვის. წინამდებარე რეკომენდაციების მიზანი არაა კომენტირება ან რჩევების მიცემა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავებისათვის.

I. განსაზღვრებები

ტერმინები “ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოები” და “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო” (QF EHEA) შეეხება ბოლონის მინისტრიალის კომუნიკებში მოცემულ უფრო ზოგად აღწერებს. “EQF LLL”-თვის კი ოფიციალური განსაზღვრება მოცემულია ევროპარლამენტისა და საბჭოს შესაბამის რეკომენდაციაში.

ა) ბერლინის კომუნიკეში ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო აღწერილია, როგორც

“თავსებადი და შედარებადი კვალიფიკაციების ჩარჩო უმაღლესი განათლების სისტემებისათვის, რომელიც კვალიფიკაციებს აღწერს სასწავლო დატვირთვის, დონის, სწავლის შედეგების, კომპეტენციებისა და პროფილების ტერმინებით”

ბ) ბერგენის კომუნიკეში აღწერილი საერთო/ყოვლისმომცველი ჩარჩო უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისთვის

“უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის საერთო/ყოვლისმომცველი ჩარჩო(QF EHEA) მოიცავს სამ საფეხურს (ნაციონალურ კონტექსტში შეიძლება მოიცავდეს შუალედურ კვალიფიკაციებსაც), თითოეული საფეხურის ზოგად აღმწერს, რომელიც სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს ეყრდნობა, და პირველი და მეორე საფეხურებისათვის განსაზღვრულ კრედიტებს.”

გ) *“მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების საერთო/ყოვლისმომცველი ჩარჩო (EQF LLL), არის მთარგმნელობითი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება კვალიფიკაციების სხვადასხვა სისტემასა და დონეს შორის, ზოგადი, პროფესიული თუ უმაღლესი განათლების სისტემის მიუხედავად. ის გააუმჯობესებს, სხვადასხვა წევრი ქვეყნის რეგულაციების შესაბამისად გაცემული, კვალიფიკაციების გამჭვირვალობას, შედარებადობასა და გადატანას. ნებისმიერი დონის კვალიფიკაცია მიღწევადი უნდა იყოს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კარიერული გზით.”*

(წყარო: <http://ec.europa.eu/education>)

II. გამოყენების სფერო, ზოგადი მოსაზრებები და რეკომენდაციები

1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოები, როგორც გამჭვირვალობის, თავსებადობისა და შესადარობის მექანიზმი, სულ უფრო მეტად გამოიყენება კვალიფიკაციების სისტემების სტრუქტურირებისა და პრეზენტირებისათვის, კვალიფიკაციებს შორის ურთიერთობების განსაზღვრისა და ასევე მათი კომბინირების შესაძლებლობების ჩვენებისათვის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესიას და მობილობას როგორც სისტემებს ასევე ქვესისტემებს (პროფესიული და უმაღლესი) შორის. ლისაბონის აღიარების კონვენცია (მუხლი III.4) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს თავისი საგანმანათლებლო სისტემის შესახებ ადეკვატური და მკაფიო ინფორმაციის მიწოდება. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ხელს უწყობს ამ ინფორმაციის გავრცელებას. ენიკის ცენტრებს ეთხოვათ, რომ საკუთარ ვებგვერდებზე განათავსონ ინფორმაცია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ.

2. რეკომენდაცია ფოკუსირებულია აკადემიურ აღიარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიკაციების ჩარჩოებს შეუძლია სასარგებლო ინფორმაციის მოწოდება პროფესიული დასაქმების მიზნებით აღიარებისათვის და შრომის ბაზარზე დაშვებისათვის, ასევე როგორც შეუძლია ხელი შეუწყოს წინმსწრები განათლების აღიარებას ლისაბონის აღიარების კონვენციის პრინციპების შესაბამისად.

3. კვალიფიკაციების ჩარჩოები პირველად შემუშავდა ევროპის ფარგლებს გარეთ. მაგ., ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა. ამჟამად მსოფლიოში განათლების ბევრი სისტემა ქმნის კვალიფიკაციების ჩარჩოს, რაც ხშირად უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირების პროცესის შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად ამისა, არსებობს სისტემები, რომლებიც არიან ლისაბონის აღიარების კონვენციის წევრები ან პოტენციური წევრები და რომელთა უახლოეს გეგმაში არ შედის სუბ-ნაციონალური ან ნაციონალური ჩარჩოს შემუშავება. თუმცა, ის ფაქტი რომ არ არსებობს სუბ-ნაციონალური ან ნაციონალური ჩარჩო არ

ნიშნავს, რომ რაიმე სახის პრობლემა უნდა შეექმნას ამ ქვეყნის კვალიფიკაციების აღიარებას.

4. ევროპაში შეიქმნა ორი საერთო/ყოვლისმომცველი კვალიფიკაციების ჩარჩო: კვალიფიკაციის ჩარჩო უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის (QF-EHEA) და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო (EQF LLL). ეს ორი ყოვლისმომცველი ჩარჩო ურთიერთთავსებადია, ვინაიდან EQF LLL-ის მე-6, მე-7 და მე-8 დონეები შეესაბამება QF-EHEA-ის სამ საფეხურს. ეს უკანასკნელი ასევე ითვალისწინებს, რომ ქვეყნებმა თავისი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების ფარგლებში შეიძლება განავითარონ მოკლე ციკლის კვალიფიკაცია პირველი საფეხურის ფარგლებში, რაც შეესაბამება EQF-LLL მე-5 დონეს. ეს ურთიერთთავსებადობა, კომბინირებული EQF-LLL -ის ყოვლისმომცველ ხასიათთან თვალნათელს ხდის უმაღლესი განათლებასა და განათლების სხვა ნაწილებს შორის ურთიერთობას. ეს ჩარჩოები გვაძლევს ათვის წერტილებს ეროვნული კვალიფიკაციების სწავლის შედეგების შესადარებლად და ამდენად, ხელს უწყობს აღიარებას.

კვალიფიკაციების ჩარჩოებისათვის აღიარების ხელშეწყობა, ეროვნულ დონეზე განხორციელებული სამუშაოსადმი ნდობა, ისევე როგორც თვით-სერტიფიცირება და რეფერენსირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეროვნულ დონეზე კვალიფიკაციები გამჭვირვალე და საფუძვლიანი ანალიზია საჭირო მათი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში განთავსებამდე. ევროპულ დონეზე, თვით-სერტიფიცირებისა და რეფერენსირების პროცესების ერთობლივად შეთანხმებული კრიტერიუმები და პროცედურები ქმნის ნდობას ამ პროცესებისა და მისი შედეგებისადმი. პროცესი უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ და ხარისხის შეთანხმებული კრიტერიუმების შესაბამისად.

5. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ინსტიტუციებში მიღებული კვალიფიკაციებისათვის აღიარებაზე უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა შეამოწმონ კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო თვითსერტიფიცირებულია თუ არა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან ან/და რეფერენსირებულია თუ არა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო არც თვითსერტიფიცირებულია და არ რეფერენსირებულია, არცერთ შემთხვევაში არ უნდა გახდეს პრობლემა ამ ქვეყნების კვალიფიკაციების აღიარების დროს.

მაშინაც კი, თუ კვალიფიკაციების ჩარჩოში მოძიებული ინფორმაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი კვალიფიკაციის აღიარებისათვის, თავდ ფაქტი, რომ თვითსერტიფიცირება ან/და რეფერენსირება განხორციელდა, უფრო მეტად უწყობს ხელს აღიარებას. იმ შემთხვევაში, როდესაც კვალიფიკაციები რეფერენსირებულია/თვითსერტიფიცირებულია ერთ და იმავე დონესთან მიმართებაში, ისინი განიხილება, როგორც ფართოდ შედარებადი კვალიფიკაციები.

ნებისმიერი მსგავსი პროცესის შედეგი ზრდის კვალიფიკაციების შესადარობას. მაგ., ავსტრალია და ახალი ზელანდია ახორციელებენ ერთობლივი სერტიფიცირების პროცესს ირლანდიასთან (რომელმაც განახორციელა თვითსერტიფიცირებაც და რეფერენსირებაც), რამაც ხელი უნდა შეუწყოს შემდგომ აღიარებას.

კვალიფიკაციების ჩარჩოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია დონეების, სწავლის შედეგების, სასწავლო დატვირთვის, პროფილისა და ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ რამდენადაც შესაძლებელია მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. როდესაც ეს ინფორმაცია არასაკმარისია, უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ დამატებითი ინფორმაცია (მაგალითად, სასწავლო დატვირთვა ან/და კვალიფიკაციის ფორმალური უფლებები მის გამცემ ქვეყანაში).

კვალიფიკაციების ჩარჩოების მიერ გამოყენებული განზოგადებული სწავლის შედეგები არის ათვის წერტილი უფრო მეტად დეტალური სწავლის შედეგებისათვის, რომელსაც იყენებენ უსდ-ები კურიკულუმსა და შეფასების

დროს. იმ შემთხვევებში, როცა კვალიფიკაციების ჩარჩოთი მოცემული სწავლის შედეგები არასაკმარისია, უნდა გამოვიყენოთ უსდ-ს მიერ წარმოდგენილ სწავლის შედეგების უფრო დეტალური აღწერა.

უფლებამოსილი ორგანოების მიერ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების გამოყენების გაუმჯობესებისათვის ენიკის ცენტრები უნდა ჩაერთონ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავების პროცესში, ასევე სადაც საჭიროა თვითსერტიფიცირებისა და რეფერენსირების პროცესშიც.